

რუსთველის პროსპექტი

ის, შენობებში ჩამჯდარი თეთრად,
დიდი რუსთველის სახელს ატარებს,
მოდინ, მაგრამ მასთან შეხვედრა
ვერ გაუბედავთ ქუჩებს პატარებს.

ყოველი ქუჩა კაცის თვალებით
მოდის აქეთკენ და გზას უნდება,
მოვა, შეხედავს მას მოკრძალებით
და მერე ისევ უკან ბრუნდება.

ზოგი წარსულის ამბებს მოჰყვება:
როგორ იწვოდნენ ცეცხლში, ლადარში,
ვახუშტის ქუჩა მტკვარს გამოჰყვება
და მოშორებით ეტრატს გადაშლის.

ბესიკის ქუჩა ამბობს შაირებს,
მარტო სიმღერა არ დაშვენდება, –
და ჭავჭავაძის ქუჩას ჩაირევს,
თვალს გააყოლებს და გაჩერდება.

ზოგიც ბუტბუტებს: როგორ დავბერდით!
[მარადი ყრმობა სურდათ მოხუცებს)
და შურთ რუსთველის პროსპექტის ბედი
ჩახრუხადის და შავთელის ქუჩებს.

შურთ, მაგრამ მაინც მოდიან დინჯად,
შნოსა და იერს ჰმატებენ ქალაქს,
და როგორც ერთხელ დასახულ მიზანს,
ირგვლივ უვლიან უწმინდეს ალაგს.